წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. სამშაბათი, 6 ოქტომბერი 1915 წ. № 109

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ [illegible] კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ოქტომბრიდან წლის დამლევამდე ღირს 2 მ.—70 კ.
მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

„ხაროფუხის კლუბი“
**კვირიდგან, 3 ოქტომბრიდან გადავიდა საზამთრო შენობაში**
გიხეილის პროსპექტი—სადაც წინად იმყოფებოდა.
**სინემატოგრაფში „აპოლო“**
**სამშაბათს, 6 ოქტომბერს—მუსიკალური საღამო სიმებიანი ორკესტრით ბ. პრესმანის ლოტბარობით. კონცერტზედ შესვლა უფასოა.**

თბილისის მესამე შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობამ უკვე დაიწყო მოქმედება ამა სექტემბრის 20-დან.
**მისამართი: ოლგას ქუჩა, სახლი დიასამიძისა, № 4.**
თბილისის მესამე შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის გამგეობა მიჰმართავს ტყის მეპატრონეებს, რა ფასებში შეუძლიათ ჩაგვაბარონ ადგილობრივ, ან რკინის გზის მახლობელ სადგურზე წიფლის შეშა საჟენობით, რომელიც საჭიროა ქართველ მეპურეებისათვის. შეშა უსათუოდ უნდა იყოს ხმელი. გამგეობა იწვევს აგრეთვე ადგილობრივ მეპურეებს, ვისაც სურვილი აქვთ შეშის შეძენისა, ახლავე ჩაეწერონ სიაში და დაწესებული ბე შემოიტანონ. კონტორა ღიაა დილის 11 ს. შუადღ. 3 ს.

ვკისრულობთ
გადავაკეთოთ, გავწმინდოთ და ახლათ შევღებოთ საქალებო და სავაჟო ქუდები
სპეციალურად ვწმენდავთ სავაჟო „კოტელოკებს“ და „ცილინდრებს“.
აგრეთვე ვწმენდავთ პლიუშს, ხავერდს, და ვაყენებთ გინგლს.
ვახუჭუჭებთ და ვწმენდავთ სირაქლემას ფრთას და ბოას.
ქუდების სახელოსნო დ. გ. გვახარიასი
გოლოვინის პროსპ. № 39.
სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოეპოვება.
სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოეპოვება.

მომხმარებელი საზოგადოება „მეურნეს“
გამგეობა ამით აცხადებს, რომ ხსენებულ საზოგადოებაში წევრად ჩაწერა სხვათა შორის შეიძლება სამეურნეო ბანკში გ. კანდელაკისთან, წერა-კითხვის საზოგადოებაში ვანო ავალიშვილთან, ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში მაქრო ბილანიშვილთან და „საქართველოს“, „თანამედროვე აზრის“, „სახალხო ფურცლის“ და „ახალი კლუბის“ კანტორებში. საზოგადოებაში ჩასაწერი გადასახადია ერთი მანეთი, ხოლო თითო პაი ღირს 10 მანეთი. საპაიო ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

გადაწერას საწერ მანქანის
საფვალებით და საწერ მანქანაზე
მუშაობის სწავლებას
ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს
ი. თ. გვათუას კანტორა
ვერის დაღმართი № 1
ტელეფონი 17—05

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმმა
მამულაიშვილი
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ქ. გორში
ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სალოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა, მიხეილის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 3—92.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
გ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქუჩა № 36, მეორე სართული.

„ახალი კლუბის“
მამასახლისთა საბჭო
ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 1 ამა ოქტომბრის თვიდან კლუბი საზამთრო შენობაში გადმოვიდა; აღნიშნულ დღიდან სასეზონო ბილეთები გაუქმებულია და ყველა იმ პირთ, ვინც ასეთი ბილეთებით სარგებლობდნენ შეუძლიანთ კლუბში სიარული საზოგადო წესით. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით გაიმართება **სინემატოგრაფი.** კვირაში ხუთს დღეს დაუკრავს **სიმებიანი ორკესტრი, ხოლო ხუთშაბათობით და კვირაობით სამხედრო მუსიკა.**
სინემატოგრაფების დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ახლად დაარსებული საამხანაგო
ფქვილის საწყობი „რაჭა“
ჰყიდის მეპურეებზე და კერძო პირებზე ფქვილს ხელმისაწვდომ ფასებში. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 3. —11

## პროვინციელ აგენტების საყურადღებოდ

**აცხადებს გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია, რომ პირველ ოქტომბრიდან გაზეთი „საქართველო“ გადაეცა კანტორა „განათლებას“. თუ, რომელიმე აგენტს, რამდენი სჭირია ხსენებული გაზეთი, დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორა „განათლებას“.**

**„საქართველოს“ რედაქცია.**

## გორის არჩევნები

ჩვენი გაზეთის მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ ქ. გორში ქალაქის თავი ბ-ნი ზ. ქიტიაშვილი გადადგა. ახლა ახალის ძებნაა საჭირო, ახალი კაცის არჩევა. რამდენადაც ვიცით, გორელებს კიდეც ჰყოლიათ ვარაუდში ზოგიერთი კანდიდატი. ჩვენ არ ვიცით, ვინ არიან კანდიდატები, რა ღირსების, რა გამჭრიახობისა. საჭიროა გორელებმა დიდი სიფრთხილე გამოიჩინონ ქალაქის თავის არჩევანში. შესაძლებელია გორელთათვის ასეთი სერიოზული საკითხი არასოდესაც არ ყოფილიყოს ქალაქის თავის არჩევნის გარშემო. ამ მძიმე მომენტში, როდესაც ცხოვრება გართულდა, როდესაც დიდთა თუ წვრილ ერთა ყოფნა-არყოფნის საკითხი წამოყენებულია, ჩვენისთანა პატარა ერებს ყოველ დარგში გვმართებს ფხიზელი დარაჯის ყოლა, ფხიზელი ჯარისკაცსავით მომრევი, საქმის მუყაითი და ეროვნულ იდეებით აღჭურვილი ადამიანი. დიდია პასუხისმგებლობა ყოველ დარგში საზოგადოდ, მით უმეტეს ქალაქის თავის პოსტზე. ქ. გორი ჩვენს უძლიერეს პროვინციას—ქართლს სათავეში უდგია. აი, მიტომ უფრო მიგვაჩნია საკითხი სერიოზულად, აი, რატომ მოვითხოვთ, რომ ახალი ქალაქის თავი გაქცენთილიყოს ჩვენი ერის ჭირ-ვარამით, უაღრესად მოქმედი არა მარტო გორელთა საკეთილდღეოდ, არამედ მთელი პროვინციის საპატრონებლად. მისგანაა დამოკიდებული პროვინციის ყურადღება, მისი გამოფხიზლება, მისი ცხოვრების ნერვთა ჩქეფა! მან უნდა პასუხი აძლიოს პროვინციის ყოველგვარს მოთხოვნილებას, იყოს ყურმახვილი დარაჯი მისი წყლულებისა და მის ტკივილების უებრო მკურნალი. წავიდა ის დრო, როდესაც ქალაქის თავნი ასეთ პროვინციებს მხოლოდ ხელის მოსათბობად ჰგულისხმობდნენ. ეხლა მოწოდებაა საჭირო, მოწოდება საქმიანობისა, მოწოდება საზოგადოების წარმატების სიყვარულისა. ლიტონი სიტყვით გატაცება, ლიტონი სიტყვით კვება საზოგადოებისა, ლიტონი სიტყვით უარყოფა ეროვნულ იდეალებისა ჩვენს დროში ზღაპრულ ამბად მიგვაჩნია. საჭიროა ფხიზელი და საქმიანი კაცი, საჭიროა ცენტრიდან დაშორებულ და უპატრონოდ შთენილ პროვინციის ყურის გდება. აი, ეს უნდა უწყოდნენ არა მარტო ამომრჩეველებმა, არამედ თვით იმ კანდიდატებმაც, ვინც გამბედაობას გამოიჩენს და ისეთს საპასუხისმგებლო თანამდებობის ჩაბარებაზე თანხმობას განაცხადებს. ვუსურვებთ ოგრელთ ფხიზელ ქალაქის თავის შოვნას, ვუსურვებთ ისეთი ადამიანი ეშოვნოთ, ვინც პატიოსნად შესძლებს საზოგადო საქმის გაძღოლას...

ოსმალეთს კი მხოლოდ ხუთი პროცენტი, რომლის რიცხვიც ერთ მილიონიანი ჯარი შემდგარა. ოსმალეთში 20.000,000 მცხოვრებია, მაშასადამე ერთი მილიონი ჯერ კიდევ გასაყვანია.

ნიშსა და სალონიკზე მიმავალ რკინის გზის ერთი ნაწილი ბულგარებს დაუნგრევიათ.

——

უნგრეთის გაზეთების ცნობით სერბეთზე გალაშქრებულია 700,000 მეომარი ავსტრო-გერმანელებისა.

**ამერიკა სამხედრო ფლოტს აძლიერებს**

ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა დასტური დასცა ხუთ წლიან საგემთამშენებლო პროგრამას, რომლის განხორციელება მოითხოვს 500 მილიონ დოლარს. ამ პროგრამის ძალით პირველ წელს უნდა აიგოს ორი დრედნოუტი, ორი ჯავშნიანი კრეისერი, ხუთ წლის თავზე კი ათი დრედნოუტი, ექვსი კრეისერი და დიდძალი წყალქვეშა ნავი და კონტრ-ნაღმოსანი.

**ხმელეთის ჯარი**

შეერთებული შტატები ზრუნავენ ხმელეთის ჯარზე. მთავრობის მიერ შემუშავებულ პროგრამის ძალით, უნდა შესდგეს რეგულიარული ჯარი 140.000 ჯარისკაცისაგან, და ოთხასი ათასიანი კონტინენტის ჯარი. ამ უკანასკნელში ვინც ჩაეწერება, უნდა ექვსი წლით შევიდეს. სამსახური სავალდებულო იქნება შეერთებულ შტატების მხოლოდ კონტინენტურ ნაწილში. ჩაწერილებმა პირველ სამი წლის განმავლობაში ორ-ორი თვე ბაირაღის ქვეშ უნდა გაატარონ. განზრახულია ეროვნული გვარდიის მოწყობაც.

**ათი მილიონი შინაური მოწყობისთვის.**

მინისტრთა საბჭომ გადასცა ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ათი მილიონი ქალაქებისთვის სესხის მისაწოდებლად, რომ გაიადვილონ შეშის შეძენა. მინისტრთა საბჭომ დასტური დასცა აგრეთვე შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრების წინადადებას, რომ მთელს იმპერიაში გახსნილიყო 4971 საფოსტო განყოფილება, სახელმწიფო შემნახველ-გამსესხებელ კასებითურთ.

**გერმანეთის ჰაეროპლანები მინსკის მიდამოებში.**

ბოლო დროს გერმანეთის ჰაეროპლანებმა მოუხშირეს მინსკის მოსაზღვრე მიდამოებში ყუმბარების ჩამოყრა.

## ომის ამბები

### ჟურნალ-გაზეთებიდან

ოსმალეთს ბულგარეთისთვის აღუთქვამს 50,000 მეომარს მოგაშველებ ბუგასა და ვარნავასთანაო. ამით ბულგარეთის მეფეს იმედი მისცემია.

——

იტალეთიდან არა ჩვეულებრივ ამბებს ელიან.

——

იტალეთი ჩაერევა ბალკანეთის ომში თუ არა, გამოურკვეველია. ნაწილი მომხრეა ომში ჩარევისა, მაგრამ ნაწილი ამბობს, რომ საბერძნეთსა და იტალეთს შორის ძველი უთანხმოება სუფევსო. როგორც სჩანს კეთილ განწყობილებას იტალეთსა და საბერძნეთს შორის ბოლო ელება. იტალეთი თავის ინტერესის მიხედვით მოიქცევაო. იტალეთი მოკლე ხანში გადასწყვეტს, თუ რა გზას უნდა დაადგეს.

——

შეერთებულ შტატების გამოქომაგება სომხებისადმი, გერმანულს გაზეთებში გერმანელები უკმაყოფილებას აცხადებენ და ამბობენ, რომ გერმანელი ელჩები სცდილობდნენ ოსმალეთი აეძულებინათ სომხების ბედის შესამსუბუქებლადაო. ხოლო გრაფი რევენტლავი ამბობს, ოსმალეთს ნება აქვს, როგორც უნდა, ისე გაუსწორდეს სომხებს რათა დამორჩილებაში მოიყვანოსო. ხოლო გერმანეთმა მტრების გასახარებლად შინაურ საქმეების გულისთვის ოსმალეთს რისთვის უნდა შეაძულოს თავიო.

——

როგორც საბოლოოდ გადაწყდა უნდა გამოვიდეს კაპეიკიდან დაწყებული აბაზამდე ქაღალდის წვრილი ფული.

——

თვითეულ მებრძოლ სახელმწიფოს საკუთარ მცხოვრებთა რიცხვიდან ათი პროცენტი ბრძოლის ველზე გაუყვანია,

## უკანასკნელი ფოსტა

1 ოქტომბერს მოკავშირეები ფაქტიურად შეებრძოლენ ბულგარებს.

——

რუმინეთის პრემიერმა ბრატიანუმ დაარწმუნა ავსტრიისა და გერმანეთის ელჩები, რუმინეთი ნეიტრალობას დაიცავსო.

——

როგორც ირკვევა, იტალია ჯერ-ჯერობით მონაწილეობას არ მიიღებს მოკავშირეთა ოპერაციაში ბალკანეთზე.

——

ათინიდან ცნობა მოვიდა, ოსმალები და ბულგარები საბერძნეთს ჰპირდებიან აღმოსავლეთ მაკედონიას და კუნძულებს, უკეთუ იგი ნეიტრალობას დაიცავს.

——

რუმინეთმა აუკრძალა კერძო გემებს პორტებიდან გასვლა.

——

ბუდაპეშტის უნივერსიტეტმა ენვერ ფაშას მიანიჭა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი.

——

სოლუნში სამხედრო წესები გამოაცხადეს.

——

სერბეთის ათინელ ელჩს უთქვამს, სერბეთს ჯერ კიდევ იმედი არ დაჰკარ-

გვია, რომ მას საბერძნეთი იარაღით დაეხმარებაო.

——

პარიზის პრესა იმედს გამოსთქვამს რომ იტალიაც ჩაერევა ბალკანეთის ომში.

——

ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრო იუწყება: რადგანაც ბულგარეთმა სერბეთს ომი გამოუცხადა და ცენტრალ სახელმწიფოთა მოკავშირედ გამოვიდა, ინგლისმა შვეციის ლონდონელ ელჩის შუამავლობით აცნობა ბულგარეთს, 2 ოქტომბრის საღამოს 10 საათიდან ინგლისი ბულგარეთთან ომში არისო.

——

ლონდონიდან ბულგარეთის ელჩი ჰააგაში წავიდა.

——

საბერძნეთის ელჩმა სირ ედუარდ გრეის გადასცა ნოტა, სადაც ნათქვამია, სერბეთ-საბერძნეთ შორის დადებული ხელშეკრულება „ფედერის კაზუსს“ არ წარმოადგენს, თუ მას აწინდელ ვითარებასა და მომენტს შევუფარდებთო. ამიტომაც საბერძნეთი თავის თავს მოვალედ არ სთვლის ომში ჩაერიოსო.

——

ეგეის ზღვაზე ბულგარეთის სანაპიროს ბლოკადა დაიწყო 3 ოქტომბერს დილის ექვს საათიდან.

ნეიტრალ სახელმწიფოთა გემებს წინადადება მიეცა 48 საათის განმავლობაში გავიდნენ ბლოკადა შემორტყმულ რაიონიდან.

——

სერბთა ჯარები მთელ ფრონტის გასწვრივ მხოლოდ მოგერიებითი ტაქტიკას ადგანან. გაგებული პირები ამბობენ, სერბები შესძლებენ ბულგარებს გაუმკლავდენ, მანამ მოკავშირეების ჯარი მათ მიეშველებოდესო.

# შტაბის დეპეშები

**კავკასიის ფრონტი.** სოფ. ნორიშთან რუსის მზვერავებმა მარჯვე თარეში განაახლეს. ოსმალთ მაშველი ჯარი მოუვიდათ და თავის მხრით 2 ოქტ. 2 საათზე ნორშინს ეკვეთნენ იერიშით, მაგრამ მალე უკუგდებულ იქმნენ ძველს პოზიციებზე.

**პეტროგრადი**, 3 ოქტომ. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. კალნცემის რაიონში, შლოკის სამხრეთით, საარტილერიო სროლაა. გრინვალდის დასავლეთით, მიტავის აღმოსავლეთით გერმანელებმა 2 ოქტ. ღამით საარტილერიო სროლა გააჩაღეს. შემდეგ მდ. ეკაუზე დაიწყეს გადმოსვლა, მაგრამ რუსის მიერ კვლავ მეორე ნაპირზე იქმნენ გარეკილი. მისჰოფის დასავლეთით, რიგაში მიმავალ რკინისგზაზე საშინელი საარტილერიო სროლაა. მისჰოფის სამხრეთ-დასავლეთით გერმანელები სცდილობდნენ მდ. მისის მარცხენა ნაპირზე გადასულიყვნენ, მაგრა საარტილერიო ცეცხლით უკუგდებულ იქმნენ. რემერსჰოფის სადგურზე, ფრიდრიხშტადტის ჩრდილოეთით, გერმანელმა მფრინავმა კიდევ ყუმბარები ჩამოჰყარა. მედუმის ტბის სამხრეთით და ილდუკსტკის შარაგზის შუა გერმანელებმა რამდენჯერმე იერიში მიიტანეს, მაგრამ რუსებმა უკუაგდეს. გუშინდელ ბრძოლაში სასტიკი ბრძოლის შემდეგ რუსებმა აიღეს გატენი, წამოიყვანეს ტყვეები და ტყვიისმფრქვევლები. საკმაო საბუთები მოიპოვება, რითაც მტკიცდება, რომ დვინსკის რაიონის ფრონტზე გერმანელებს დიდი ზარალი მოუვიდათ, ღამით 2 ოქტომბერს, მინსკის თავზე გადაიფრინა „ცეპელინმა“ და 15 ყუმბარა ჩამოაგდო. რუსის არტილერიამ მალე გააგდო იგი. სოფ. ნოვოსელკის რაიონში, ჩარტორისკის ზემოდ, მდ. სტირზე, მოწინაალმდეგებმა საარტილერიო სროლით მოიმაგრეს ფეხი და იერიშით გამოემართნენ. ჯერ რუსის ჯარებს უკან დაახევინეს, მაგრამ ბოლოს იძულებულნი გახდნენ ძველს პოზიციაზე დაბრუნებულიყვნენ. გაიკოროკის რაიონში, ტრემბლოვის დასავლეთით, სტრიპზე, მოწინაალმდეგეთა სასტიკი იერიშები ჯერაც არ შეწყვეტილა გუშინ ქარიშხალისებური საარტილერიო ცეცხლი გააჩაღეს. რამაც $1^1/_2$ საათი გასტანა. სროლა უმწვერვალეს წერტილამდე გამძვინვარდა. შემდეგ იერიშით წამოვიდნენ, მაგრამ მოგერიებულ იქმნენ. ბუჩაჩის სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონში მტერი რამდენჯერმე იერიშით ილაშქრებდა.

**პეტროგრადი**, 4 ოქტ. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. რიგის რაიონის ფრონტზე, რიგის სამხრეთით, საარტილერიო სროლის შემდეგ გერმანელები იერიშით ეკვეთნენ სად. გარსოზელს, აიღეს კიდეც, მაგრამ რუსებმა კონტრიერიშით დაიბრუნეს. გროსევაუს რაიონში გერმანელებმა მთელი რიგი იერიშებისა მოიტანეს და რუსებს მდ. იანების რაიონისკენ დაახევინეს. ნეიგუთის რაიონშიც ბრძოლაა. რუსმა მფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს გერმანელთა ლაშქრის უკანა ნაწილში. იაკობშტადტის რაიონში სროლაა. დვინსკის ფრონტის რაიონში გერმანელები დაჟინებით განაგრძობენ ლაშქრობას. ყველა იერიშები მოგერებულ იქმნა. კომალინის რაიონშიც მოიგერიეს მათი იერიშები. დილის ათ საათიდან გუშინ გერმანელებმა დაიწყეს სასტიკი საარტილერიო სროლა და იერიშით წამოვიდნენ შიშკოვის რაიონში, მაგრამ შეჩერებულ იქმნენ, ერთი ნაწილი ტყვედ წამოიყვანეს. რაზმთა უფროსები იუწყებიან, რომ თხრილების პირი გერმანელთა გვამებით გაივსო. დემენისა და დრისვიატის შუა ბრძოლა გრძელდება. გერმანელები სასტიკ წინაალმდეგობას იჩენენ კრეკლიშკისა და გატონის რაიონებში. სოფ. უსტიესთან რუსებმა გაარღვიეს მოწინაალმდეგის ფრონტი და მდ. დრისვიატიცაზე გადავიდნენ. სოფ. კულიკოვიჩის რაიონში რუსებმა მტრის თხრილები დაიჭირეს. გუშინ ს. კორპილოვკასთან რუსებმა დაიჭირეს მტრის პოზიციები.

# ახალი ამბავი

◆ **დეპუტაცია**. 4 ოქტომბერს მისს იმპერატორებითი უმაღლესობას, მეფის ნაცვალს კავკასიაში, დიდს მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს, წარუდგნენ სასახლეში ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი და ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების თავჯდომარე თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თავჯდომარე მ. ვ. მაჩაბელი, ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავჯდომარე ე. ს. თაყაიშვილი, ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების წარმომადგენელი თავ. ი. კ. მაღალაშვილი. ქართულ დრამატიულ საზოგადოების თავჯდომარე თავ. ნ. დ. ერისთავი და თბილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო ბანკის წარმომადგენელი გ. დ. ჟურული. დეპუტაცია ალერსიანად მიიღო მისმა უმაღლესობამ და ქართველ ხალხის ჭირ-ვარამის შესახებ ყველაფერი გამოჰკითხა. დეპუტაციამ მის უმაღლესობას დაუსურათხატა ის დიდი გაჭირვება, რომელიც ომიანობამ მიაყენა ქართველ მაჰმადიანთ და აგრეთვე ის საშიში მდგომარეობა, რომელშიაც მთელი ქართველი ხალხი ჩააყენა ჭირნახულის მოუსავლობამ და. წყალდიდობამ და შესაფერისი დახმარება სთხოვა. დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ დიდის ყურადღებით მოუსმინა დეპუტაციას და უბრძანა, რომ აჭარლების მდგომარეობის შესახებ დაწვრილებითი კონსპექტი შეადგინონ და როცა საჭიროდ დაინახავენ, ყოველივე ახალი მოვლენა პირდაპირ მას მოახსენონ. საერთოდ საქართველოში საკვების საჭიროების შესახებ მისმა უმაღლესობამ ბრძანა, რომ ამ საკითხს მე უკვე გავეცანიო და ღონისძიებას ვიხმარ, ხალხის საჭიროება ამ მხრივ დაკმაყოფილებულ იქმნასო. აუდიენციამ საათზე მეტი გასტანა.

◆ **თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი** დაინიშნა წევრად კავკასიის მთავარ კომიტეტისა, რომელიც მზრუნველობს ომისაგან დაზარალებულთათვის შემწეობის აღმოსაჩენად.

◆ **კრების გადადება**. ქვემოს, 4 ოქტომბერს [illegible] უნივერსიტეტთა საზოგადოების [illegible] კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო. კრება შემდეგისათვის გადაიდო.

◆ **კ. ბალმონტის** პატივსაცემლად ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას განუზრახავს სახაზინო თეატრში საღამო გამართოს პარასკევს, 9 ოქტომბერს.

◆ **ქართველ გადმოხვეწილთა სასარგებლოდ**. თავად-აზნაურთა მარშლის თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილის მიერ მიღებულ ცნობით, იმ ნახევარ მილიონ თანხიდან, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში შემდგარ თათბირის დადგენილების თანახმად, სამინისტრომ გადასდო კავკასიაში მეფის ნაცვლის განკარგულებაში, 50 ათასი მანეთი უნდა გადაეცეს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარგამგეობას გადმოხვეწილ ქართველთა სასარგებლოდ.

◆ **გადმოხვეწილნი**. გუშინ თბილისში ჩამოიყვანეს ოსმალეთიდან გადმოხვეწილ სომეხთა 33 სული ობოლი ბავშვი 3—13 წლისა და ყველანი კრწანისში გაგზავნეს გადმოხიზნულ [illegible] ლად.

◆ **განკარგულება ლითონის შესახებ**. როგორც ვიცით, ზოგიერთ ლითონის გატანა საღვარ-გარედ ღროებით აკრძალულია. ეხლა კავკასიის რკინის გზათა უფროსმა ბრძანება გამოსცა, რომ ხსენებული ლითონი თუ აღმოჩნდება რკინისგზაზედ სახლვარ გარედ გასატანად, ჟანდარმმა ამის შესახებ შესაფერისი ოქმი უნდა შეადგინოს, ხოლო ლითონი-კი სამხედრო უწყებას გადაეცემაო.

◆ **სათესლე ხორბლის საჭიროება სამეგრელოში**. ბიურომ, რომელიც 13 სექტემბერს არჩეული იყო ზუგდიდის მაზრის წვრილ კრედიტთა წარმომადგენლების კრებაზე იქონია მსჯელობა შესახებ მოსალოდნელი შიმშილის თავიდან ასაშორებლად ზომების გამონახვისა და დაადგინა შემდეგი: რადგან ჯერ-ჯერობით ბიუროს არ ძალუძს თავისი საკუთარი ძალ-ღონით შეიძინოს ის 5,000 ფუთი სათესლე ხორბალი, რომლის საჭი-

# ბალმონტის „ვეფხის ტყაოსანი“

ჩვენმა საზოგადოებამ უკვე მოისმინა კ. ბალმონტის „ვეფხის ტყაოსანი“. როგორც ყოველ სალიტერატურო საღამოს შემდეგ, ეხლაც საზოგადოების შთაბეჭდილება ნაირ-ნაირი იყო. ერთნი ამბობდნენ, რომ ჩვენი საზოგადოების ოთხმოცმა პროცენტმა მაინც მხოლოდ ეხლა გაიგო „ვეფხის ტყაოსნის“ მნიშვნელობა და მისი შინაარსიო. არის თაობა, მთელი მოდგმა, ერი, ხშირად მთელი ეპოქა, როდესაც ავტომატური მოქმედება სჭარბობს გონებრივს, ეს მაშინ, როდესაც ადამიანი მეტ წილად ემოციებით სცხოვრობს და აზროვნებისთვის საკმაო დრო არ რჩება. ბავშვიც, ჭასაკობაში გადასვლამდე, ასეთი ემოციებით მოქმედებს. ბალმონტის ასე გადიდება ამ პირველი ჯგუფის მიერ, სწორედ ამ გულუბრყვილო გატაცებითა და ემოციებით თუ შეიძლება ავხსნათ, თორემ თუ ეს სინამდვილე ყოფილიყო, მაშინ ქართველი არა თუ ჭასაკობის, არამედ ბავშვობის პერიოდსაც არ იქნებოდა გადასული. არა, ეს დიდი უბედურობა იქნებოდა. ჩვენ მაინც ასეთ დაბალ ღირსების შეხედულობისა არა ვართ ჩვენს საზოგადოებაზე, იგი საკმაოდ მომწიფებულად მიგვაჩნია, თუმცა არც მეორე ჯგუფის აზრს ვიზიარებთ, ვითომც ბალმონტის თარგმანი სრულებით არ ვარგოდეს. აქ სიტყვა „სრულებით“ არ შეიძლება ითქვას: რაც უნდა იყოს ბალმონტმა თარგმანის თარგმანით*) რუსულ საზოგადოებას მისთავაზა თავისებური „ვეფხის ტყაოსანი“, თავისებურ „ხელის ხელ საგოგმანებელ“ მარგალიტებად თუ არა— მწყობრ რითმებად აწყობილი და ნიჭიერად გარდათქმული პოემა.

პირადად ჩვენზე ბალმონტის „ვეფხის ტყაოსანმა“ საშუალო შთაბეჭდილება დასტოვა. უნდა გამოვტყდეთ: მეტს მოველოდდით, იმედები არ გაგვიმართლდა. რუსთაველის დაფნის გადალოცვა ახლა სიზმრადაც არ მოგვივა. მაგრამ ამაზე ქვემოდაც ვისაუბრებთ. ეხლა გვსურს შევეხოთ პოემის მზიურ შესავალს, უკედ, ბალმონტის წინასიტყვაობას.

შელლეს რუსულ ენაზე უბადლოდ ამმეტყველებული თავის ავტორიტეტობით მრავალ რამეს გვაიმედებდა. ვფიქრობდით, მგოსანი, როგორც მრავალ ენების ზედ მიწევნით მცოდნე, გაწაფული აღმოსავლეთურ პოეზიით, ღრმა მცოდნე ინდო-ჰელლინურ ფილოსოფიისა, მასთან თანამედროვე მეცნიერებით აღჭურვილი „ვეფხის ტყაოსანს“ მისნობისათვის მოიხმარდა და პირველი იგი ჩახვდებოდა იმ საიდუმლოს, რის გამოხსნას დღემდი მხოლოდ არხეოლოგიური მშრალ და მეტად ბერწი მეთოდით სცდილობდნენ. ვფიქრობდით, მგოსანი მჭევრულად შეეხებოდა საუკუნის მიხედვით რაინდობის კულტს, აღნიშნავდა რუსთველის გენიოსობის მეტისმეტ თავისებურობას, რითაც მთელი მეთორმეტე საუკუნე მსოფლიო ლიტერატურაში დაისაკუთრა, აგრეთვე მოველოდით სხვადასხვა კულტების შედარებას, თუნდა სპარსთა კულტს ქალის შესახებ და რუსთაველის თინათინის ხელმწიფურ გამგეობის ორიგინალობას, რასაც ვერც ერთი მსოფლიო მგოსანი იმ დრომდე ვერ მისწვდომიყო და გააბათილებდა მრავალთა შეხედულობას, და სხვათა შორის, ჭაბუკ მარრის ავტორიტეტულ შეცდომას, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ სპარსულიდანაა ნათარგმნი და ორიგინალი ბევრად მაღალი უნდა ყოფილიყოს რუსთაველის ქმნილებაზეო. მართალია, შაჰრაზადა, როგორც ვნების საჭურჭლე, ჰმფლობს მაჰმადიანურ ლიტერატურას, მაგრამ იგი მხოლოდ ვნების საჭურჭლეა და მეტი არაფერი, მისი შედარება ნესტანთან ან თინათინთან ამათი შეურაცხყოფა იქნებოდა.

სულ სხვაა „ვეფხის ტყაოსნის“ მიჯნურობის თხრობა, იგი არა თუ შაჰრაზადათა ტლანქი და სიძვის ჟინიანობის ქსოვილი არ არის, არამედ ფაქიზი, ვნებით მჩქეფავი, მაგრამ ისე კი, რომ არასდროს ოდნავაც არ დაურღვევია თხრობის ღვთაებრივი ჰარმონია და ასე განსპეტაკებული მარადიულ უმწიკვლობის პორფირით დამშვენებული სუმბულის სინაზით უფრო მეტად ნარნარებს, ვიდრე რომელიმე თეოკრიტეს მწყემსობრივი იდილია, უფრო მომხიბვლელ და მოელვარე სხივებით ირთის, ვიდრე თიბულის ლაჟვარდ კაბა ელეგიები! რუსთაველი ფილოსოფოსი, რუსთველი სოციოლოგი, რუსთველი უზენაესი მხატვარი, უებრო მუსიკოსი, მასთან მგზნებარე ჰანგთა მფრქვეველი, როგორც საუკუნეთა საკვირველება და უცნაური სინთეზი მთელის ეპოქისა,—ვფიქრობდით, ახალ მიმდინარეობის, ახალ ქურუმის ხელით მინერვას საბურველს მოიხდიდა და დაგვანახვებდა თვის გენიოსობის საოცარ კლავიატურას და თვის ჯადოსნურ ფანრის სხივებს, რითაც განსაცვიფრებელ ორიგინალი სიცხოვლით გახდა იგი გულთამხილავი, შემცნო ხილულ ქვეყნიერების სახეობა, მის სულის სიღრმე, ადამიანის ცხოვრების სრულყოფა! არასფერი ამისი მსგავსი! ოციოდ წუთით შესავალში ეკზოტურ ფერადებით ახასიათებდა „ვეფხის ტყაოსანს“ მხოლოდ სიტყვიერად, თითქოს კეკლუც სიტყვების მოსასმენად. აქ თქვენ ნახავდით საუცხოვო მეტაფორათა არშიას, კლდის მპობ შადრევანს, უმჭკნარ ყვავილებს, ვნებას, მაგრამ ის, რაც საინტერესო უნდა ყოფილიყო დამსწრე საზოგადოებისთვის, თქვენ ვერ ნახავდით, მოისმენდით. ერთად ერთი, რაც საყურადღებო გახლდათ აქ, ის იყო ლინგვისტიკის სფეროში გასეირნება, ისიც ნახევარ წუთით, რომ აღენიშნა ქართული ენის ფონეტიკური ღირსებაც და ნაკლულებაცა. უხმო ასოთა შეჯგუფება ყოველს ენაში იდევნება. მისთვის მაგალითად, სიტყვა „გრგვინვა“ სიმძლავრეს ჰხატავს და ფრიად საამო მოსასმენიცაა. ჩვენ არ ვეცილებით ამ დებულებაში: ეს გემოს საკითხია.

საყურადღებო გახლდათ აგრეთვე წინასწარვე თარგმანის შესახებ მცირე ცნობების გადმოცემა, თუ სად გაეცნო უარდროპს, როდის წაიკითხა „ვეფხის ტყაოსანი“, როგორ შეუყვარდა იგი, ან როგორ შეუდგა მის თარგმნას. წინასწარვე ნიადაგი მოგვიმზადა, რომ მოლოდინი უნდა გვქონოდა რუსთაველის ნამდვილი ჰანგისა და უფრო მეტიც: თუ რუსთველს ტაეპში ოთხი ერთგვარი რითმა აქვს, მას რვა მოუხმარებია. ეს ერთგვარი plus-ი გახლდათ, რომ თარგმანი საყოველთაო მოწონების ღირსი ყოფილიყო. ამაში გვამხნევებდა თვით მგოსანი ესპანურ ანდაზით დაქადებით: „შეუძლებელი ყოველთვის შეუძლებელია“, მაგრამაო,— დაასკვნა მგოსანმა,—მეც სწორედ შეუძლებელთან შებმას ვეტრფი, რადგანაც მიყვარს მისი **დაძლევა-გადალახვააო**! შეუძლებელის ძლევა! შეუძლებელის გადალახვა! ეს ხომ რუსთაველის ახალი შობა იქნებოდა, ეს ხომ მის მიერ ახალი სახელმწიფოს დაპყრობის თანასწორი იქნებოდა! და აი, საზოგადოებაც ყურთა სმენად გარდაიქცა. მოგვმა მისტერიას აჰხადა ფარდა...

ჰორაციუსი ერთგან ამბობს: თვით ღვთაებრივი ჰომიროსი ხშირად სთვლემს თხრობის დროსაო. ასეთი საგულისხმიერო შენიშვნა თითქმის „ღვთაებრივ კომედიაზეც“ შეიძლება წავაწეროთ, აგარას ვიტყვით ვირგილზე, ტასოზე, ანუ მილტონზე. მაგრამ ეს არ ითქმის „ვეფხის ტყაოსანზე“. როდესაც მას კითხულობთ ქართულ ენაზე, მისი თხრობის მუსიკობა არა თვლემს, არამედ მეტს მიმზიდველობას იწვევს თქვენში, გატყვევებთ, გწყურიანთ, რომ ხანგრძლივ ისმინოთ მუსიკობა მაისის დილის, ჭაბუკ სიცოცხლის სიკისკასე, ზვირთთა თამაშის სიმფონია და სისუბუქე მზის სხივების. სამწუხაროდ, ბალმონტის „ვეფხის ტყაოსანმა“ ბევრში თვლემა გამოიწვია. რად მოხდა ასე? მიზეზი? ხომ ვიცით, რომ ცნობილ ვირტოუზს რუსთაველისთვის რითმებით გადაუჭარბებია!

საქმე ის არის, რომ ბალმონტი ჯერ კიდევ შორსაა სავსებით ჩასწვდეს რუსთაველის სულს! შესაძლებელია (და ეს ასედაც უნდა იყოს) ამაში ხელს უშლიდა ჩვენი ენის უცოდინარობა, თორემ ასეთი ყურმახვილი ვირტოუზი როგორ აუქცევდა გვერდს რუსთველის თხრობის მუსიკას! ბალმონტს მხოლოდ მარცვლებისთვის მიუქცევია ანგარიში. მაგრამ მუსიკა მარტო რითმა და მარცვალი არ არის. ცეზურა, ჰომიროსისებურ ჰეკზამეტრთა მუსიკობა თვითოეულ ტაეპს ამო მოსასმენ ჰანგადა ჰხდის. ბალმონტმა კი ერთფეროვანი ტიხვრით მონოტონობას მიაღწია და მიტომაც მისი „ვეფხის ტყაოსანი“ ასე ფერმკრთალი გამოვიდა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბალმონტი ფრიად შორს მდგარა რუსთველის მხატვრულ მსოფლმგრძნობელობისგან თუ საყოველთაოდ არა, სანიმუშო ადგილებში მაინც. ავიღოთ თუნდა კოსმიურ ხელოვნებაში ისეთი უბადლო ფრაგმანტები, როგორიცაა „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინებ[illegible]“, ანუ „ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ჰხრის ყორნისა ბოლო ფრთათა“, ანდა „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ და სხვა, რომელთა რიცხვი თვითეულ ტაეპის გახსენებით შეგვიძლიან ათასჯერ მაინც გავამრავლოთ, —ბალმონტის მიერ ყველა ეს არა თუ **ძლეული და გადალახული**, არამედ ალღო აღებულიც ვერ გამოდგა. ჩვენ განგებ ყურთა სმენად ვიყავით გადაქცეული სანიმუშო ადგილების დასანახად, მაგრამ მათ ან ვერ ვამჩნევდით, ან და კიდევ თუ ვამჩნევდით, მეტად ფერმკრთალი და მიუგვარებელი სახით.

თვით ნიმუშები, რაც იმ საღამოს წაკითხულ იქმნა ბალმონტის მიერ, არ იყო მაინცა და მაინც სანიმუშო. გვიკვირს, როგორ მოუვიდა მზის მგოსანს, რომ პანთეისტ ავთანდილის მიმართვა ცის მნათობთადმი სანიმუშოდ არ სცნო საზოგადოების დასატკბობად გამოემზიურებინა! არა ნაკლებ გვაკვირვებს, რომ ეს ვნებათა გრძნობის ახალი ქურუმი საჭიროდ არ სცნობდა ნესტან დარეჯანის წერილი წაეკითხნა, სადაც ნესტანი მთელის არსებით, სულისა და ხორცის ტემპერამენტით ჰბორგავს, უბედურ სატრფოს ვნებათა გრძნების განწირულებათა გადმოსაცემად! იშვიათად მიჯნურობის გრძნობა ოდესმე ასე ამაღლებულიყოს, მით უფრო სახარბიელო უნდა გვეჩვენებოდეს დღეს, როდესაც ცრუ ხელოვნებამ ასე რიგად იჩინა თავი, როდესაც ბერწი გრძნობით და დაფუტუტუროვებულ ვნებით გატაცებული ფუტურისტნი იერიქონის საყვირსა სცემენ და უთავბოლო ბოდვას მოგვთა მისტერიებად ასაღებენ.

მაგრამ ყველა ეს წვრილმანია. ალბად ბალმონტმა რაც საჭიროდ დაინახა, ის წაგვიკითხა. ამაზეც დიდი მადლობის მეტი არა ეთქმის რა. რუსის საზოგადოება, უეჭველია, მის „ვეფხის ტყაოსანს“ სიამოვნებით წაიკითხავს. პოემის სრულ შეფასებაში ვერ შევალთ, ვინაიდან დღეს ხელთ მხოლოდ იმ ღამის შთაბეჭდილების მეტი არა გვაქვს რა. ტექსტი კი დაბეჭვდავს ელის. სასურველია, რაც შეიძლება მალე გამომზეურდეს იგი, არა ფრაგმანტებად, არამედ სრულად. რუსული საზგადოება მოვალეა იცნობდეს ამ დიად საუნჯის მიმქრალ სილუეტს მაინც...

**დ. კახრაძე.**

---

*) კ. ბალმონტი უარდროპის მიერ ინგლისურ ენაზე პროზით ნათარგმნს „ვეფხის ტყაოსანს“ გასცნობია და აქედან ულექსნია კიდეც თვისი „ვეფხის ტყაოსანი“. **დ. კ.**

...ა აღიარებულ იქმნა ზემოხსენებულ ...ბირზე, ხოლო შეძენა სათესლესი ...ილებლად საჭიროა, დაუყოვნებლივ ...ვოს ქართულ საქველმოქმედო და ...ულო-სამეურნეო საზოგადოებათ ...ონ კონტრაგენტი, რომელსაც გან-...ურულ ფასებში შეეძლება 5,000 ... სათესლე ხორბლის მიწოდება ...იდის მაზრის სოფლებისათვის.—ეს ...ენილება ბიუროსი უკვე მოუვიდა ...ულ საქველმოქმედო საზოგადოების ...ობას.

**წინასწარი ამომრჩეველი კომპანია** ...ბრის ნაწილის ამომრჩეველთა ერთმა ...მა მოხელის ხელით ამომრჩევლებს ...იგა მოწოდება, რითაც ამომრჩევ-... იწვევდა მომავალ ქალაქის არჩევ-... ეთათბირნათ და კანდიდატებიც ...ხელებინათ. კრება „საზოგადო...ის“ დარბაზში შესდგა. ერთმა მა-...ლისმა, ვინმე პ. პროტესტი განა-... ასე რიგად კანდიდატების დასა-...ბის გამო, რადგან ქართველი ამომ-...ლები სრულებით გამოტოვებულნი ... და კრებაზედაც არ მოგიწვევი-...“

**სანოვაგის სიძვირე.** თბილისში ...ლევარ სანოვაგეზე ფასმა იმატა. ...ქის საბჭოს მიერ დადგენილ ფასებს ...ლებას არ აქცევენ და პირიქით, ... ქალაქის საბჭო არღვევს თავისსავე ...ენილებას და თვითვე ტაქსაზე ძვი-...ყიდულობს.

**ახალი წიგნი.** ჩვენს მუსიკოს ია...რეთელს დუსრულებია თავისი შრო-...რთულ მუსიკის გარშემო და ახლო ...ალში გამოიცემა. წიგნში მოთავ-...ლი იქმნება ინსტრუმენტების სურა-... პირველ ყოფილ სახით და აგრეთ-...ოტების ნიმუშები აღმოსავლეთის ...ისა. შრომას სცემს „საქართველოს ...ხარხოსის უწყების“ რედაქცია.

**ხარფუხის კლუბი** საზამთროდ ...ლოს“ შენობაში გადადის. კლუბს ...ობილება მშვენიერი ექნება.

**ქართველ მაჰმადიანთა დახმარება.** ...ს საქველმოქმედო საზოგადოების ...ჯდომარის მოადგილემ ბ-მა ამირ-...ვმა დეპეშით სთხოვა ქართულ სა-...მოქმედო საზოგადოების გამგეობას, ...ობეთ, თქვენ მიერ შეკრებილ ...ებით, რამდენი კაცია ომისაგან და-...ლებული ბათომის ოლქში. ქართულ ...ლმოქმედო საზოგადოების გამგეო-...დეპეშით უპასუხა, რომ 50 ათას კა-...ე არის დაზარალებულიო.

... რედაქციამ მიიღო ივლისის და ...ტოს ნომერი საყმაწვილო ჟურნალ ...ილისა: შინაარსი: გეშინიან, შე ეშ-..., სად ასულხარ? სურათი. ვაჟა-ფშა-...ს ხსოვნას, ლექსი სავლე აბულა-...; ფუტკარი რატომ ზოგ ყვავილებს ...ვარება; ყვინჩილა და ფისო, ზღა-... ლექსათ—შიო მღვიმელისა; ვაი ...საგან. არ. ფანცულაიასი; ძაღლები, ...-არაკი ი. სიხარულიძისა; გაუმარ-... საფრანგეთს! მოთხრობა მარსელისა ...ნგულით; ილიკო, მოთხრობა, ანას-...ია წერეთლისა; ტყვე-მატარებელი ...გმანი) კუდრაჰასი; რკოს ამბავი. ...პარი სოფ. გლდანში ჩაწერილი)— ...ე წამალაშვილის მიერ. ბაბო-ქალა, ...ი გ. დ. ჭრელაშვილისა; წვრილმანი: ...ხები, გამოცანები, ჩქარა-გამოსათ-...ლი, ზმა, აკროსტიხი, სავარჯიშო, რე-... და ახსნა; ყრმებს. ლექსი შიო ...მელისა; რიჩარდ ლომ-გულა (თარგ-...) ან. წერეთლისა; ვაჟა-ფშაველა. ...ოლოგი ან. წერეთლისა; ომი. ბიძია ...ის ნაამბობი, შემდეგი იქნება. თარგ-... ეკ. მესხისა; ამბავი ზესკნელისა (წე-...ი მეხუთე). მზე და მისი საბრძანე-...ი ილია ალხაზაშვილისა; ოსმალეთი ...ამი) ალ. ფ—ასი.

**ქუთაისი.**

...ათურის შავი ქვის მრეწველთა საბ-... გადასწყვიტა 300.000 მანეთის სეს-...ლება. მანვე დაადგინა საფუძო გა-...ხადი 1916 წლიდან ნახევარ კაპეი-... გაადიდოს.

... **ყოველ თვიური გამოცდანი.** სა-...ო განათლების მინისტრმა ნება და-..., რომ გიმნაზიებსა და რეალ სას-...ლებელში ყოველ თვე მოხდეს ექვსი ...ის მოწმობის მისაღებად ეგზამენების ...რებაო.

---

**შეცდომის გასწორება**

...ვირის ნომრის „ქართულ პრესაში“ ...ეჭდილია: მოთავსებულია წინააღმ-...ობა ეკონომიურ კატეგორიათა და ... დროული პოლიტიკური გარემოება... ...ნდა იყოს:

...მოთხრობილია წინააღმდეგობა ეკო-...მიურ კატეგორიათა და მათი დროული პოლიტიკური თანამშრომლობის შესაძლოება.

---

# დღეიდან ესპობათ გაზეთის გზავნა ყველა მათ, ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია

„საქართველოს“ კანტორისაგა

---

## რაღა დამრჩა...

ულმობელმა, შემხუთველმა სევდამ ფრთები გაშალა,
შურის ქარმა, მტრობის ზარმა ჩემი შვება წაშალა!..

სიცოცხლესა ხანმოკლესა უდგა ცუდი დარები,
გულმოკლული, გაისრული დავალ დავიარები;
ძველს მეგობრებს, ვით მეკობრებს, ველარ მივეკარები,
მიზანს ნათელს ცილი დასდეს, ჩემ წინ მართეს ფარები!
ვინც კი მითხრა „მიყვარხარო და არ გამემწარები“,
ნახეთ, მანვე გამითხარა შავი მიწის კარები.
დღეს ჩემს სულში ულმობელმა სევდამ ფრთები გაშალა,
ყრმის გიჟური სიხარული და სიამე წაშალა!..

რაღა დამრჩა სანუგეშო ოდნავ გამხარებელი?
ცივი გული, ცივი გრძნობა შურის მაძიებელი!

**სანდრო შანშიაშვილი.**

---

ჩვენი გაზეთის მე-108 ნომრის ერთ ახალ ამბავში—სათაურით „ტრამვაის კონდუქტორთა შორის“ — შეცდომით არის მოხსენებული: „თბილისის ტრამვაის კონდუქტორთა შორის დიდი მითქმა-მოთქმაა იმის გამო, რომ ზოგიერთი „ნარიადჩიკი“ და მათი თანაშემწენი ხელქვეითებისაგან ქრთამს იღებენო“.

ზემოხსენებული ამბავი ეხება ამიერ-კავკასიის რკინის გზის თბილისის სადგურის „ნარიადჩიკებს“ და მათ თანაშემწეებს და ტრამვაის მოსამსახურენი არავითარ შუაში არ არიან.

## პროვინციის ქრონიკა

**უმაღლესი პირველდაწყებითი სკოლები გურიაში.**

**ოზურგეთი.** საგანგებო ყრილობაზე, რომელიც მოხდა მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავმჯდომარეობით, გადაწყდა გაიხსნას სოფ. ნაგომარში, ჩოხატაურში, სუფსაში, ოზურგეთში და ლანჩხუთში პირველდაწყებითი უმაღლესი სკოლა. ასეთი ტიპის სკოლის დაარსების ნებართვა სხვა საზოგადოებათაც ითხოვეს, მაგრამ ყრილობას ჯერჯერობით უარი განეცხადა.

— მოსავალი გურიაში წელს მეტად ნაკლებია, ზემო გურიაში სიმინდი სრულებით არ მოსულა, ქვემო გურიაში კი, სადაც ყოველთვის კარგი მოსავალი იცოდა, მცხოვრებთ იქნებ ორ-ორი თვის სარჩო არც კი მოუვიდეთ. გურიის გაჭირვებულ მცხოვრებთ, ყოველთვის დიდ ნუგეშად ევლინებოდა ხილეულობის მოსავალი. არ იყო ისეთი მოსახლე, რომ 50—100 ფუთი თხილი არ გაეყიდა, წელს კი ხილეულობამაც უღალატა ხალხს და არამც თუ გასაყიდი, არამედ საშინაოდ სამყოფიც კი არავის მოსვლია.

საჭირო სანოვაგე დღითი დღე ფასს მატულობს, რისგამოც ხელმოკლე ოჯახისთვის ყიდვა შეუძლებელი ხდება.

---

**ბათომი.** სკოლაში ადგილების უქონლობის გამო 380 ბავშვი გარედ დარჩა. ქალაქის საბჭომ დაადგინა, რათა პარალერული განყოფილებანი გაიხსნას.

— ქალაქის საბჭომ დაადგინა გადასდოს 18,402 მან. 94 კაპ. მოსამსახურეთა ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

## სოფლის საზოგადოების შეჯგუფება

(მომრიგებელ-შუამავლების საყურადღებოდ)

მომრიგებელ-შუამავლებს მოუვიდათ მოწერილობა, რომ მოახდინონ სოფლის საზოგადოებების ხელ-ახალი შეჯგუფება და ყოველი საზოგადოება არა ნაკლებ 1200 კომლი უნდა ითვლებოდესო.

რასაკვირველია, როგორც კვლავ-ისე ეხლა ამისთანა ღირსს-შესანიშნავ შემთხვევებში ხალხს არა ეკითხვის რა და, თუ ჰკითხავენ, ისიც ფორმალური წესები შეასრულონ, და არ ცდილობენ, რომ ხალხს აუხსნან, რაში მდგომარეობს საქმე.

ოქონის საზოგადოების მაგიერ არსდება ავლევის საზოგადოება, რომელშიაც შედის მთელი ოქონის საზოგადოება, ბრეთის საზოგადოებიდან ემატება: სოფ. ტახტი-ძირი, ღოღეთი, ქვათეთრი, ძვილეთი და ველები, აბისის საზოგადოებიდან ემატება მარტო სოფ. ცერონისი, ატოცის საზოგადოებიდან ემატება: სოფ. ატოცი, ბრეძა, ქალეთი, ბალთა, მეტეხი და ჭურიხევი.

სოფ. თამარაშენს მოხისის საზოგადოებას აწერენ, რადგანაც მოხისის საზოგადოების რიცხვი 1200 კომლი უნდა შესრულდეს.

აი ამის გამო სოფ. თამარაშენი მოხისის საზოგადოების ფარგალში უნდა მოაქციონ.

წარმოიდგინეთ თქვენ, სოფ. ტახტი-ძირი, ღოღეთი სოფ. თამარაშენზედ უნდა გაიარონ და ავლევის კანცელარიით ისარგებლონ. თამარაშენი კი, რომელიც ორი ვერსით დაშორებულია ავლევიდან, სოფ. მოხისის კანცელარიაში უნდა იარონ.

სოფ. თამარაშენი დაკავშირებულია ავლევთან: ავლევის წვრილი კრედიტის წევრნი არიან, თამარაშენელების ბავშვობა ავლევის სკოლაში დაიარება, თამარაშენი ავლევის სამრევლოს შეადგენს და შინაური ცხოვრებით ავლევთან უფრო დაკავშირებულია.

სოფლის მდგომარეობა ჰანდრაკული ფიცარი როდია, რომ პროპორციონალურად დაიყოს. უსათუოდ მომრიგებელ შუამავლებს მხედველობაში უნდა ჰქონდეთ სოფლის ადგილ-მდებარეობა, ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული მიზეზები და მათი მდგომარეობა.

ყოველ მიწერილობას ზედ-მიწევნით რომ ვასრულებდეთ, მაშინ ხომ ცხოვრება შეუძლებელი შეიქმნება. ამ შემთხვევაში ყოველი მოხელე შეთანხმებით —შეხამებით უნდა ასრულებდეს მოწერილობას, შეუფარდოს ადგილს, გარემოებას, ცხოვრებას.

უსათუოდ 1200 კომლი ითვლებოდეს ყოველ საზოგადოებაში, ეს შეუძლებელია და, თუ მაინც ყოველი საზოგადოება გათანასწორდება კომლობით, მაშინ ხომ დამახინჯებული საზოგადოება შეიქმნება.

აი, ამიტომ საჭიროა მოხდეს კერძო კრებები შეგნებულ პირებისაგან, იქონიონ მსჯელობა ამ საგანზედ, მასხარაობა ხომ არ არის, საშვილიშვილო საქმეა, უნდა დარჩეს სამუდამოდ და ხალხს სანანურად საქმე არ უნდა გაუხდეს.

Legatuz.

---

## ივერიის ეკლესიის შესახებ

VII.

**სარწმუნოების მდგომარეობა.**

სარწმუნოება სხვა და სხვა ერებში სხვა და სხვა გზით და ფირმით ვრცელდებოდა. მაგ. აზიის ზოგიერთს კუთხეებში რელიგიას ავრცელებდენ ისე, რომ იგი მოქმედებდა, გავლენას ახდენდა ადამიანის გრძნობაზე მარტო და არა გონებაზედაც. გრძნობა და გონება კი ერთმანეთს ვერ ასცილდებიან, ხელიხელ ჩაკიდებული უნდა მიმდინარეობდენ.

საქართველოში სარწმუნოება ქრისტესი (აქ არას ვამბობთ ქრისტიანობამდი შემოღებულ რელიგიაზე) გავრცელდა პირდაპირ, ე. ი. იგი გადმოიტანეს ჩვენში მოციქულებმა იმ სახით როგორც თვითონ ქრისტე წარმოსთქვამდა, რადგან მოციქულები თვისის ყურით ისმენდენ ქრისტეს ქადაგებას, მოძღვრებას. ეს მოციქულები იყვნენ: ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი, ბართლომე და სხვანი. მათგან გავრცელებული ქრისტიანობა მტკიცე ნიადაგს პოულობდა ქართველის გულსა და გონებაში, მაგრად იდგამდა იქ ფესვს; ესისხლხორცებოდა განუშორებლად და ეს იყო მიზეზი, რომ თორმეტი საუკუნის განმავლობაში ისლამს უნდოდა ამოეფხვრა ეს ერთხელ ჩანერგილი სარწმუნოება ქართველის გულიდან და მის მაგიერ მაჰმადის რჯული დაეთესა. ქართველი კი ჯვარით ხელში, გამხნევებული სცდილობდა არაფრის გულისათვის არ ჭამდგარიყო დათმობის გზაზე, არ უღალატნა ქრისტიანობისათვის და მასთან ერთად ენა და კულტურა შენარჩუნებოდა, არ მიეცა უცხო ტომთათვის საჯიჯგნ-გასაძარცვავად. აქნობამდის მოიყვანა კიდეც და დღეს ველარ დაანებებს რამეს?...

გადავიდეთ ჩვენს მეზობელ რუსეთში. იქ ქრისტიანობა გავრცელდა ყველაზე გვიან და უმეტეს ნაწილად სხვა და სხვა გზით. თუ საქართველოში ქრისტიანობის შემოღების დროს კულტურა საზოგადოდ ბიზანტიაში, საიდანაც მოეფინა ქრისტიანობა, დიდად მაღლა იყო მდგარი, იგი იმონებდა ყველას გულსა და გონებას და ამნაირად ეკიდებოდა ხელი მას ჩვენშიაც, სამაგიეროდ რუსეთმა რომ ქრისტიანობის მიღებაზე ზრუნვა იწყო და არჩევანში შევიდა თუ რომელს ჰქონოდა უპირატესობა მათ შორის, მე-IX საუკუნეში ბიზანტიელები დიდის ომებისა, მიხლა-მოხლასა, გონებითი მუშაობისგან დაღლილ-დაქანცულები მოსვენებას ეძლევოდენ და გონებით მუშაობაზე ხელი აეღოთ. ამ დროს იგინი შინაგან შინაარსს კი აღარ უკვირდებოდენ, გარეგნულის შეხედულებით კმაყოფილდებოდენ და ამ გარეგნობამ მოხიბლა ვლადიმერისაგან გაგზავნილი კაცები სარწმუნოების ასარჩევად. მათ რომ გამშვენებულ ეკლესიებში ჩინებული ღვთის-მსახურება მოისმინეს, განცვიფრდენ, დაბრუნდენ შინ და მოახსენეს მეფეს, ამაზე, ე. ი. ქრისტიანობაზე, უკეთესს სარწმუნოებას ჩვენ ვერსად ვპოვებთ და აკი ამ გარეგნულის სახით გადმოვიდა იგი რუსეთში და გავრცელდა. იმის გავრცელების საქმეში პირველს როლს თამაშობდა გრძნობა. საქართველოში კი ქრისტიანობა გრძნობასა და გონებაზე ემყარებოდა, არც ერთს არ ულალატნია მიტომაც.

დუღაბივით მაგარს საფუძველზე მდგარს ქრისტიანობას ძნელად თუ ვინმე შეანძრევდა საქართველოში, მაგრამ დუღაბსაც აქცევენ მსახვრელი, დაუნდობელი, ვერაგული ხელები მტრისა... შახ-აბაზებმა და აღა-მახმად-ხანებმა ძალით წაართვეს ქართველებს სარწმუნოება, მიაღებინეს ისლამი, მაგრამ ეს ნგრევა და მსხვრევა არც აგრე ადვილად შესრულდა. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში უნდებოდენ ამ გამანადგურებელ მიზნის მიღწევას მოსისხარი მტრები. საქართველოს დედის ძუძუებს ჩამოაცალეს, მოსწყვიტეს საუკეთესო შვილები. ეს შვილებია დღეს აჭარლები და ინგილოები. ამ მოწყვეტილ ძმებისაკენ უნდა გავიშვიროთ დღეს ხელი. მაგრამ როდესაც გვინდა ძმების დახმარება, ეს დახმარება უნდა იქმნეს მიზანშეწონილი და არა მიკიბულ-მოკიბულ და საზიანო მათთვის და ჩვენთვის.

მეცხრამეტე საუკუნეში გამახმადიანებულ ქართველების გაქრისტიანებას რომ შეუდგენ, ამ საქმისათვის პოლიტიკას იხმარდენ. ქართველებს ეუბნებოდენ თქვენ თათრები ხართ და სხვა ენა თქვენთვის, თუარ სახელმწიფო, არ უნდა იყოსო, თუარა და თათრულზე დაადექით და ქართული არ გააჭაჭანოთო. შესდგა ამ მიზნით Общество возст. православнаго христіанства на Кавказѣ, მრავალ სართულიანი, რომლის მიზანი იყო მისიონერების, რუსული სკოლების მეოხებით, მორჯულება ქართველი მახმადიანებისა.

დღეს ასეთი სისტემა არ გამოდგა. აი როგორ მოგვითხრობს ბ. ედილი ძველისძველს ამბავს „კადელში“ ქრისტიანობასა და მუსულმანობაზე:—„რა მოხარული ვარ, რომ ამისთანა ადგილში გამამწესეს მღვდლად, საქმე ბევრია გასაკეთებელი, ხალხი ბევრია მოსაქრისტიანებელი, ეცადე მხნეობა და ენერგია გამოიჩინოო, მითხრა არქიელმა, იქ ახალ-გაზრდა მხნე მუშაკნი არიან საჭირონიო. თუ ქართველს მუსულმანებში ვერაფერს გავაკეთებ და ვერას გავხდები მაშინ სულ არაფრის გაკეთება შემეძლება. სწორედ საბრალონი უნდა იყვნენ ეს დროთა ვითარების გამო გამაჰმადიანებული ქართველები, მათი წინაპარნი ხომ ისევ ქრისტიანები ყოფილან... განა აქნობამდისინ ვერ გაერთიანდებოდნენ სარწმუნოებით დანარჩენ საქართველოსთან... დარწმუნებული ვარ ადვილად გავჩარხავ იქ საქმეებს...“

ასე ამბობდა ახლად მღვდლად ნაკურთხი მამა კირილე, რომელიც შორს მრევლში გაემწესებინა არქიელს. ეს შორიმრევლი გახლდათ ს. გძელი, რომელმაც უძველეს დროიდანვე ორი სარწმუნოების

---

„საქართველოს“ კანტორა აუწყებს პატივცემულ წლიურ ხელის მომწერთ, ვისაც კი ხვედრი ფული არ შემოუტანია, დააჩქარონ ფულის შემოტანა.
**პირველ ოქტომბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს 2 მ. და 70 კ. ერთი თვით—90 კ.**
კვირაობით გაზეთი დამატებითი ფურცლით გამოდის. ყოველი ნომერი ქალაქსა და ქალაქ გარედ 5 კ. ღირს.
რედაქციის კანტორა ერთხელ და სამუდამოდ აცხადებს, უმარკო წერილებს არ გამოიხსნის.
მოუწოდებთ ჩვენ მკითხველებს და თანამგრძნობთ დაგვეხმარონ და ფართოდ გაავრცელონ გაზეთი „საქართველო“
**მისამართი:** Тифлисъ, Московская, 4. Редакція „Сакартвело“ поч. ящ. 76.

მიმდევარნი, მუსულმანნი და ქრისტიანნი სცხოვრობდნენ. ორივე ტომით ქართველები იყვნენ, ერთმანეთის სისხლი და ხორცი, წმინდა შეურყეველის ქართულის ენით მოლაპარაკენი, ჩვეულებით, ზნე-ხასიათით, თუ ჩაცმა-დახურვით ერთნი და თანასწორნი. სარწმუნოებრივ განსხვავებას არავითარი ზიანი არ მოჰქონდა მათის ერთობისა და ძმობისათვის".

როდესაც ამ მღვდელმა იწყო ქადაგება ქრისტიანობის გავრცელებაზე, „შემოერთებაზე და ეშმაკის მიფურთხებაზე", მუსულმანებს არ ესიამოვნათ ასეთი ლაპარაკი მისი. აიმართა მათ შორის დიდი კედელი და შეერთების მაგივრად გაითიშნენ. („სამშობლოს" სურათებიანი დამატება, № 26, 1915 წ.)

დიდი ხანი არაა თუშ-ფშავ-ხევსურების ქრისტიანული სარწმუნოება აითვალისწუნეს, მაჰმადის და ქრისტეს სარწმუნოებანი თითქოს ერთმანეთში არეულიყოს იქა, ზნეობა დაცემულიყო და სხ. ამაზედ ღაღადებდნენ სასულიერო პირები და მიუთითებდნენ ხელ-მეორედ ქრისტიანობის დასამყარებლად, დასამტკიცებლად მოძრავი ტაძრების გამრავლებას, მღვდლების რიცხვის მომატებას, უარჰყოფდნენ, ხევის ბერების რეფორმების შემოღებას ლამობდნენ. განსვენებულმა მთის მცველმა, მგოსანმა ვაჟა-ფშაველამ „სახალხო გაზეთში" შესაფერისი პასუხი გასცა ასეთს მოძღვრებას. მან დაამტკიცა, რომ ჩაფხუტგაქნილ ტყაბუჩში გახვეულ მოხევეს უდევს მეტი ფაქიზი სული, ვინემ ფასდაუდებელ ოქრო-ვერცხლ თვალ-მარგალიტით შემკულ მოძღვრებში.

სარწმუნოების საქმე სათუთი და ნაზია, ნისი ქნარის სიმების შეხება ყველას არ შეუძლია; თუ ვინდა ხალხის კეთილ გზაზე დაყენება, ისევ მისი საქმე მისვე სინიდისს მივანდოთ, რადგან სარწმუნოება სინიდისის საქმეა. ამ ნაირად შეიძლება „კედელი" აღმართული დაინგრეს და ძმები ერთმანეთს დაუბრუნდენ თორემ ნაძალადევი არაფერი ვარგა. „სასუფეველი ღვთისა თქვენს შორის არისო" ბრძანებდა იესო ქრისტე და ეს სასუფეველია სწორედ სინიდისი ადამიანისა. სტუმარს შეგიძლიათ გაუმასპინძლდეთ ყოველ გვარის შექამადით, მაგრამ არჩევა შექამადის სტუმრის საქმეა და თუ მასპინძელი ჩააცივდა მას მაინც და მაინც ეს და ეს მიირთვიო, მაშინ, შესაძლოა, სტუმარმა სულ დაანებოს თავი ჭამას და გაუდგეს იმ გზას, საიდანაც მივიდა.

ქ. გძელი.

## რას ეძებენ გერმანელები?

ახალი თავდასხმა ავსტრო-გერმანეთისა სერბეთზე მეტად სერიოზულია, დიდძალ ჯარს ამოძრავებენ და, როგორც ამბობენ, გადამწყვეტი მნიშვნელობაც ექნება, ან ჰო, ან არაო. გერმანეთს სერბეთზე თავდასხმა იმდენად არ აინტერესებს, რამდენადაც სხვა რამ ზრახვა, სახელდობრ: მიახწიოს იმ მიზანს, რომლის განხორციელებასაც ვერ მიახწია ვერც დასავლეთის და ვერც აღმოსავლეთ ფრონტზე ბრძოლის შემწეობით.

გერმანელების იერიში სერბეთზე, მარტო სერბეთის წინააღმდეგ არ არის მიმართული, მარტო ეს რომ ჰქონოდა განზრახული, აუარებელ ჯარს არ მიჰყრიდა დუნაისა და სავაზე. თუნდაც სერბეთი მთლად მოსპოს, ეს კიდევ არ კმარა და არც ომისთვის ექმნება რაიმე მნიშვნელობა.

ამ ჟამად ეჭვიც კი აღარ უნდა ეპარებოდეს კაცს, რომ გერმანეთს ჰსურს სერბეთი გადალახოს და პირდაპირი გზა გაიხსნას ბულგარეთზე ოსმალეთისკენ, რათა დაიცვას დარდანელი და კონსტანტინეპოლი მოკავშირეთაგან. მაგრამ მარტო ამით ნათელი არ ხდება თუ გერმანეთისთვის რისთვის შეიქმნა საჭიროდ ასეთი გზა ამოერჩია. უკეთუ ომი გაგრძელდა, მოსალოდნელია რომ მოკავშირეებმა გერმანეთი მოღალონ და დაამარცხონ, ამიტომ გერმანეთი სცდილობს, რაც შეიძლება დროზე მოუაროს თავის თავს და ახალ ძალით ომსაც დასასრული მისცეს. ჯერჯერობით ყველა სახელმწიფოებზე მეტი ოსმალეთშია გამოსაყვანი ჯარი. ოსმალეთს საშუალება არა აქვს ეს გამოუყვანელი ჯარი შეაიარაღოს და თოფქვეშ დააყენოს. არა ჰყავს ოფიცრები და არც სარდლები. არც აქვს ნიჭი ორგანიზაციების მოწყობისა. აი, სწორედ ამ საქმეში დაეხმარება გერმანეთი. რა წამსაც კი გზა გაიხსნება ბულგარეთზე და კოსტანტინეპოლში ამოჰყოფენ თავს, მაშინვე ჯარს დარაზმავენ და დანაკლისს აინაზღაურებენ. ამ ჯარს სხვა და სხვა ფრონტზე გაჰგზავნიან. ადვილი შესაძლებელია, გერმანეთს ჰსურდეს ბრძოლა ეგვიპტეში გადაიტანოს ინგლისელების წინააღმდეგ. ისიც შესაძლებელია, რომ ახლად დარაზმული ჯარი კავკასიის ფრონტზე გადმოიყვანონ და ისიც შესაძლებელია, რომ ევროპაშიაც გადასხან, სადაც გერმანელებთან ერთად იბრძოლებენ. რომელ გზას აირჩევს გერმანეთი უკეთუ ბალკანეთში საქმე მის სასარგებლოდ გადასწყდა, ჯერჯერობით წინდაწინ რამის თქმა შეუძლებელია.

„რ. ვ."

## რუსეთის ცხოვრება

**ავარაკთა რეკვიზიცია.** ამ ხანად მოსკოვის მახლობელ ადგილებში საავარაკოების დიდი რეკვიზიციაა.

**ა. დ. სამარინი.** ვადამდვარ სამარინს მოსკოვის თავად-აზნაურობამ გამოსათხოვარი ადრესი მიართვა. სამღვდელოებამ სამარინი თავის საპატიო წევრად აირჩია.

**ეპ. ვარნავი.** პეტროგრადში ჩავიდა ეპ. ვარნავი, და ინახულა სხვა და სხვა პირნი. ხმები მისი გადადგომის შესახებ მართალი არ არის.

**ა. თ. კონის იუბილე.** პეტროგრადში სხვა და სხვა ღარგში დიდად დამსახურებულ მოღვაწეს ა. თ. კონის 50 წლის პატივსაცემი იუბილე გაუმართეს.

---

პროვიზორებს უფლება მიეცათ დაესწრონ უნივერსიტეტში საფარმაცევტო ლექციებს, აფთიაქებში სამ-სამი წლის დაუყოვნებლად.

## ქიათურა

თანამედროვე ომმა დიდს გასაჭირში ჩააგდო მარგანეცის მრეწველთა საბჭო. როგორც ვიცით, ომის დაწყებამდე გატანილი მარგანეცის ფუთზე ნახევარ კაპიკიანი გადასახადით შემოსდიოდა საბჭოს თვიურად 100 ათას მანეთამდე და ამ ფულით იგი მრავალ კულტურულ საქმეს უძღვებოდა. მაგრამ ომის გამოცხადების დღიდან მარგანეცის ექსპორტი ხელად შეჩერდა და შემოსავალიც სავსებით მოისპო. კრიზისის რამდენიმედ შესამსუბუქებლად საბჭომ პირველად მოსამსახურეთა რიცხვი შეამცირა და დანარჩენებს ჯამაგირი შეუმცირა, მაგრამ ამით ვერას გახდა. შემდეგ საბჭომ თავისი უძრავი მამული დააგირავა ბანკში და 150 ათასი მანეთი აიღო სესხად, მაგრამ ეს ფულიც ხელად ჩაყლაპა ათასგვარმა მოთხოვნილებამ და მეორე-მესამე დღესვე აუცილებელმა საჭიროებამ თავისი არ დაიშალა. საბჭო იქამდისინ მივიდა, რომ იძულებული შეიქნა ფულის მიცემა მოესპო თავისის სტიპენდიანტებისათვის სპეციალად მაღალ სასწავლებლებში, მაგრამ ამითაც არა გამოვიდარა, რადგან სხვა აუარებელი სავალდებულო ხარჯებიც აქვს საბჭოს. ასეთი აუტანელი მდგომარეობის შესამსუბუქებლად, სავაჭრო და სამრეწველო მინისტრის ნებართვით, სექტემბრის დამლევს საბჭომ მარგანეცის მრეწველთა საგანგებო კრება მოიწვია, რომელსაც საქმის ვითარება მოახსენა და რაიმე ღონისძიების აღმოჩენა სთხოვა. კრებამ 300 ათასი მანეთის სესხად აღების ნება დართო საბჭოს მიმდინარე სავალდებულო ხარჯების გასაძღოლად, მაგრამ საკითხი ის არის,—სანამდის იკმარებს ეს ფული?

მ. ლ.

### ქუთაის-ხონის რკინის გზა.

კარგა ხანია ჩვენში აღიძრა საკითხი ქუთაის-ხონის რკინის გზის გაყვანისა. ხსენებულ რკინის გზას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელ ქვემო იმერეთისთვის. თუ დღემდის ქვემო იმერეთის მცხოვრებთა უდიდეს ბაზრად დ. ხონი ითვლებოდა და ჩუნეშ-ლეჩხუმიდან ჩამოსული გლეხი აქ ნახევარ ფასში ჰკარგავდა თავის საქონელს, რკინის გზის გაყვანით მას შეეძლება პირდაპირ ქუთაისში ჩაიტანოს გასასყიდი საქონელი, რასაკვირველია ეს თვით ქუთ. მცხოვრებთათვისაც სასურველია და გლეხის ინტერესისთვისაც ხელსაყრელი. რა თქმა უნდა რკინის გზის მრავალმხრიანი სარგებლობა ამ ორიოდე სიტყვით არ განისაზღვრება, მაგრამ ჩვენი მიზანია ამ ხანად მხოლოდ რკინის გზის ბედის გათვალისწინება მკითხველის წინაშე. დღემდის ქუთ.-ხონის რკინის გზა, როგორც სხვა ახლად დაწყებული საქმე ჩვენში მხოლოდ ცარიელ სიტყვად რჩებოდა და საქმით თითქმის არავინ ზრუნავდა. ვინ უწყს კიდევ რავდენ ხანს დარჩებოდა ეს საქმე მივიწყებულად მაგრამ ჩვენდა საბედნიერო-სასიხარულოდ ამას წინად ქუთ. თავად-აზნაურთა კრილობაზე გადაწყდა საქმის განხორციელების აუცილებლობა. უსურვებთ დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობას და მასთან დასავლეთ საქართველოს ხალხს ეს საქმე მალე სისრულეში მოეყვანოს.

იმერთაგანი.

## პროვინცია

**ჯავისხეობა.** ომის შედეგი მეტად ძნელა საზოგადოდ ყველასათვის, რასაც განვიცდით ჩვენ, ოსები მთელს ჯავის ხეობაში, ეს წარმოუდგენელია. მოგეხსენებათ, ოსების ცხოვრება მთლად დამოკიდებულია ბარისაგან. თუ ბარი დაიმოა, ვეღარ ეცხოვრება მთაში მყოფ ოსებს. წელს კი საუბედუროდ ბარში მოსავალმა ვერ იჩინა პირი, უამინდობამ მოსპო, ყოველისფერი გააფუჭა და ახლა თავისი თავიც საზრუნავი გაუხდა, მაშ საიდგან და რიღათი დაგვეხმარება ჩვენ, მთიელთ? ან ჩვენ რა შეგვიძლიან, როგორ მივმართოთ დამშეულთ გვიპატრონეთო? მკვდარი—მკვდარს აეკიდა, სამარემდინ მიიყვანაო, სწორედ ეხლა გვემართება ჩვენ და ბარელებს...

შიმშილობის გვერდით უნდა აღინიშნოს ათასგვარი ავათმყოფობა. ბარსა და ჩვენ შორის ჯერ არის და საქონლის და ფრინველის ავადმყოფობამ მუსრი გაავლო ყოველისფერსა. შეუგნებელი გლეხკაცობა ბევრგან ამ დახოცილ პირუტყვთ კარ მიდამოზე ჰყრის, რის გამოც სოფლად ისე ვერ გაივლით, რომ ცხვირზე ხელი არ მოიჭიროთ. უბედურთ, ვერ შეუგნიათ, თუ როგორ ამძვინვარებს ავადმყოფობას, ჭირსა და ვაგლახს. ინტელიგენციაც იმდენად უმოქმედობას იჩენს, რომ სოფლელთათვის ვერ აუხსნიათ, თუ თვითვე როგორ ხელს უწყობენ სენის გამძვინვარებას. ამ გარემოებას კიდევ შეურიგდებოდა ადამიანი, რომ კიდევ ერთი უბედურობაც არ დაგვრთოდა. მე ვამბობ კიდევ შეუგნებლობაზე: არიან სოფელში ისეთნი, რომელნიც ავადმყოფ ფრინველს ანუ ცხოველს ჰკლავენ და სჭამენ. ადვილად ასახსნელია, თუ ეს როგორ ხელს შეუწყობს თვით მცხოვრებთა შორის ათას-გვარ უბედურების გავრცელებას. დროა ამ უმზგავსოებას მოეღოს ბოლო, დროა ჩვენმა შეგნებულმა საზოგადოებამ ყოველი იღონოს, რათა სოფელს ჩააგონოს ასეთი დაუდევრობით საშიში შედეგები.

ვახილ თედიეშვილი.

### დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცნი.

თბილისის ლაზარეთებში იმყოფებიან შემდეგი ქართველი ჯარისკაცნი: არკანია ლადიმე ანტონის ძე, პონეტაშვილი ივანე დათას ძე, ალიბაია სამსონ მარკოზის ძე, გიაშვილი სავლე თედორეს ძე, შავიშვილი გიგო გაბრიელის ძე, სვინაძე დათა შიოს ძე, სულუკაძე ანდრო ილარიონის ძე, მაჭავარიანი ალექსანდრე ისების ძე (პორუჩიკი), გობელაია კონდრატი დიმიტრის ძე, გოგნიძე ანდრო ბესარიონის ძე, ჩერქეზიშვილი ალექსანდრე ისაკის ძე, ნაზაძე ვარლამ ასლანის ძე, ფერაშვილი შალვა პარმენის ძე, კანკავა რაჟდენ ნიკოლოზის ძე, გაბუნია ათანასე ძიკოს ძე.

## დეპეშები

**ლონდონი,** 3 ოქტომბერი. გემი „სოლერნო" ჩასძირეს. კამანდა, რომელიც 25 კაცისაგან შესდგებოდა, გადაარჩინეს.

**პარიზი,** 2 ოქტომბერი. საღამოს ოფიციალი ცნობა. ლოოსთან, ბუაზანამისა და ჟივანშის ტყეში საარტილერიო დუელი არ შეწყვეტილა. შამპანში, ობერივის აღმოსავლეთით არტილერიის დაშენის შემდეგ გერმანელებმა დაიჭირეს წინანდელი სანგრების ერთი ნაწილი, რომელიც წარმოადგენდა ფრანგთა პოზიციების მარცხენა ფრთის წინ შეჭრილ წვერს. არგონებში ფრანგებმა ნაღმით ააფეთქეს გერმანელების იმ სასანგრო ხაზისთვის მისასვლელი ადგილები, რომელიც იყო გამართული „285" მაღლობის მახლობლად. ლოტარინგიაში ფრანგებმა დაიჭირეს სანგრების ერთი ნაწილი, რომელშიაც 26 სექტემბრიდან გერმანელები იყვნენ გამაგრებული, რელიონის ჩრდილოეთით; უკუაგდეს გერმანელთა მრავალკეც განმეორებული იერიშები და ტყვედ 50-მდე კაცი წამოიყვანეს. ვოგეზებში გერმანელებმა უმკაცრესი იერიში მოიტანეს ხუაი ვერსის სიგრძის ფრონტზე, რეფელზენსა და სუდელკოფს შორის. იერიშს წინ უძღოდა მსხვილ ყალიბიან ზარბაზანთა ქარიშხალური ცეცხლი, აგრეთვე ცეცხლი მსხვილი ყუმბარების, რომელიც გასქდომის დროს წაკიდებულ ნავთს ასხამდა. თითქმის მთელ ფრონტიდან უკუ ვაგდეთ გერმანელთა იერიში. გერმანელებმა დაიჭირეს სანგრების ერთი ნაწილი გარტმანს ვეილერკოფის წვეროზე და შეიჭრნენ ფრანგების ორ საიდუმლო სადარაჯოს შუა მდ. სომსა და ვიუნგელისკენ მიმავალ გზას შორის. ფრანგების არტილერიამ დაანგრია გერმანელთა სანგრები და ვილოსთან ორი ბლოკჰაუზი გაანადგურა.

**პარიზი,** 3 ოქტომბერი. დღის ოფიციალი ცნობა. ღამით ლოტარინგიაში ფრანგებმა მოიგერიეს გერმანელების კონტრ-იერიშები, რომელიც იყო მიმართული ფრანგების მიერ რელიონის ჩრდილოეთით წინა დღით დაჭერილ სანგრებზე და ტყვედ 100-მდე გერმანელი წამოიყვანეს. ნაშუაღამევს ვოგეზებში გერმანელებმა მრავალის ძალით იერიში მიიტანეს ლენჟემსა და შრაცმენელეს შორის. იერიშს წინ უძღოდა ძლიერი საარტილერიო ცეცხლი, რომელსაც თან სდევდა მეორე საარტილერიო ცეცხლი, რომელიც ფრანგების მეორე ხაზის სანგრებს სცემდა და სასანგრო გზებსა და გვირაბებს ანადგურებდა. იერიში ფრანგებმა მოიგერიეს.

**ტროიცკო სავსკა,** 2 ოქტომბერი. დაიკეტა გზა, რომელიც ურგიდან კოლგანზე მიდიოდა, რადგანაც მას თავს ესხმოდენ ფირალი-მონგოლები, ცახარები და ჩინელი-ქურდები. შესწყდა ჩინურ საქონლით ტვირთულ ჩინური ქარავნების მოძრაობა. იყო შემთხვევა, რომ მძევლად ჩინელი დაუჭერიათ, რათა ჩინელებისათვის გამოსასყიდელი დაეძროთ. მოტაცებულ მატყლისაგან ყაჩაღებმა ბარიკადები გამართეს. მონგოლეთის მთავრობამ ზომები მიიღო. ფასმა შესამჩნევად აიწია საქონელზე.

**პარიზი,** 2 ოქტომბერი. საბოლოოდ მიღებულია კანონპროექტი, რომ მცხოვრებთათვის საჭირო საკვების მოსახმარებლად დამატებითი კრედიტი იქნას [illegible] მინისტრმა განაცხადა, [illegible] გამოქვეყნებასთან ერთად, აღდგენილი იქნება საბაჟო დასახადი ხორბლეულობაზე, რათა კანონპროექტის ძალით მოსახდენმა კვიზიციამ ფასების გაზომიერება ძლოსო.

**პარიზი,** 3 ოქტომბერი. არტუაში ფრანგებმა გერმანელთა იერიში მოიგერიეს. ლიგონისა, კენუაან-სანტერში გერმანელებმა ცრემლის მომგვრელი ყუმბარები დაუშინეს ფრანგთა ჯარებს. ამათ არტილერია ენერგიულად აძლევდა პასუხს. არგონებში ხელის სასროლ ყუმბარებით ებრძვიან ერთმანერთს. ვოგეზში ფრანგებმა მოახერხეს წინა დღით დაკარგულ პოზიციების დაბრუნება, ამას თანავე 50 კაცი წამოიყვანეს ტყვედ.

**პარიზი,** 2 ოქტომბერი. დღის ოფიციალი ცნობა. სუშეს ჩრდილო აღმოსავლეთით ლოოსთან სროლა არ შეწყვეტილა. ცნობა მოვიდა, ბუაზანშის ტყის სამხრეთით შეუპოვარი სასანგრო ბრძოლაა ხელით სასროლ ყუმბარებით. მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა ლიგონის მიდამოში მდ. უაზსა და მდ. ენს შორის, ისე როგორც პიუზოლენის და ნევიერის რაიონში და კუპრენის ზეგანზე. ფრანგების ბატარეები ენერგიულად უპასუხებდენ გერმანელთა საარტილერიო ცეცხლს, რომელიც გააჩაღეს ი ბერის აღმოსავლეთით. ლოტარინგიის ფრონტზე, ლეტრიკურასთან, საფრანგეთის არტილერიამ შეაჩერა გერმანელთა არტილერიის, თოფის და ტყვიის მფრქვევის ცეცხლი. რელიონის ჩრდილოეთით ფრანგებმა გააჩაღეს ძლიერი ქარიშხალური ცეცხლი. ბადონვილეს ჩრდილოაღმოსავლეთით, ლაშაპლოტის მიდამოებში, ლენჟესა და მარენკოფზე შეუპოვარი სასანგრო ბრძოლაა.

---

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

---

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 ბაქოდან | 12 ს. 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან | 5 ს. 55 წ. | საღ. |
| 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. 41 წ. | საღ. |
| № 10 ბათომიდან | 9 ს. 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან | 6 ს. 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან | 7 ს. 25 წ. | დილ. |
| „ საავარ. | 10 ს. 28 წ. | საღ. |

**თბილისიდან მიდის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ | 1 ს. 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ | 7 ს. 3 წ. | საღ. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ | 8 ს. 55 წ. | საღ. |
| ჯულფისკენ | 10 ს. 23 წ. | საღ. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. | დღ. |

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

# „განათლება"

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო", „თანამედროვე აზრი", „ეშ. მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „კავკაზსკ[illegible] სლოვო", „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა" და იყ[illegible]დება ახლად გამოცემული წიგნი ა. ალდონისა „აკაკი და მისი პოეზია" (რუს[illegible] ენაზე), „სქესობრივი საკითხი და ბავშვი" ი. გომართელისა, „მსოფლიო [illegible] ეკონომიური მიზეზები"—მასლოვისა, „ცხოვრების სიმღერები"—ბეგლარ ა[illegible]პირელისა, „კოოპერატივები იტალიაში"—ნ. ჟორდანიასი და სხვადასხვა [illegible]თული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფ[illegible] წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлис почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

---

## თევზის მრეწველნი

# ძმ. ძეძველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, მაილოვის-შვილ", სა[illegible] წველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მე[illegible] ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლ[illegible] გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუს[illegible] და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ელექტრომბეჭდავ სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან